MES 7 23 0000662724

08/06/2023

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2023 წლის 24 მ აისს.**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წე ვრები:

1. **კახა შენგელია** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ პრეზიდენტი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ზურაბ ორჯონიკიძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი) - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **გაგა გვენეტაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **დავით ბოსტოღანაშვილი** - შპს "აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;
5. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის“ საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;

6. **ნინო იმნაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
7. **გია ლობჟანიძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, ზოგადი ქირურგიის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი;
8. **ელენე ჟურავლოვა** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ამავე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
9. **ლელა სალაყაია** - ა(ა)იპ - ადამიანური რესურსების მართვის პროფესიონალთა ასოციაციის სენატის წევრი, შპს „ვიონი საქართველოს“ პერსონალთა მუშაობისა და ადმინისტრაციულ საქმეთა დირექტორი, დამსაქმებელი;
10. **გაიანე სიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
11. **კონსტანტინე სირბილაძე** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

სსიპ - განათლებისხარისხისგანვითარებისეროვნულიცენტრის (შემდგომშიცენტრი) წარმომადგენლები:

ანალელაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
გვანცა ძიძიგური - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
სოფიკო ქურასბედიანი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ანი ბილანიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია:

1. ნინო ღაღანიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
2. ლალი თარიმანიშვილი - კანცლერი;
3. თამარ ხუნდაძე - დეკანი;
4. ანა კლდიაშვილი - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

2. შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტი;

1. თეიმურაზ ხუროძე - რექტორი
2. ავთანდილ გაგნიძე - პრორექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ;
3. ლანა ბოკუჩავა - ვიცე დეკანი;
4. ხათუნა საგანელიძე - კონსულტანტი მედიცინის პროგრამის მიმართულებით.

3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფოუნივერსიტეტი:

1. ვლადიმერ ღლონტი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომშიექსპერტები):

1. ჯილდა ჭეიშვილი
2. ლევან ცაგარელი
3. ლუკა აბაშიშვილი
4. სალომე ვორონოვი
5. დავით სიხარულიძე

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 12:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, კახა შენგელიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოსთავმჯდომარემსაბჭოსწევრებსგაცნოდამტკიცებულიდღისწესრიგი:

1. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების გ ა ნ ხ ი ლ ვ ა .
2. შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტოირნგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მიმართ წარმოდგენილი განაცხადის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

• კი

ცენტრის წარმომადგენელმა, ლალი ოდიშვილმა შუამდგომლობა დააყენა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით. კერძოდ, განსაზღვრულ დღის წესრიგს უნდა დამატებოდა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი. ასევე შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის 2023 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გამოსწორების საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა შუამდგომლობა იმის თაობაზე, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი და მესამე საკითხი განხილული ყოფილიყო მიყოლებით, ვინაიდან საკითხები ეხებოდა ერთი და იგივე ინსტიტუციას.

დამტკიცებულიდღისწესრიგი:

1. „შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ“ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 იანვრის №47821 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;
2. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.
3. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მიმართ წარმოდგენილი განაცხადის განხილვა.
4. შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტოირნგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტასთან დაკავშირებით.

1. **„შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ“ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 იანვრის №47821 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
• არა
საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
• არა

ცენტრის წარმომადგენელმა, ლალი ოდიშვილმა, განაცხადა, რომ **2023 წლის 18 იანვრის №47821 გადაწყვეტილების საფუძველზე** ავტორიზაციის საბჭომ აღნიშნულ დაწესებულებას დარჩენილი რეკომენდაციების შესასრულებლად განუსაზღვრა 6 თვე, მიუხედავად იმისა, რომ მათ მიმართ საბჭომ ამავე დროს შეწყვიტა ადმინისტრაციული წარმოება. ტექნიკური ხარვეზი მდგომარეობდა იმაში, რომ საბჭოს გადაწყვეტილების სათაურში, პრეამბულასა და პირველპუქნტში, სადაც მითითებული იყო სამართლებრივი საფუძვლები წარმოდგენილი იყო ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტასთან დაკავშირებული სამართლებრივი საფუძველი. შესაბამისად, მან საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა მოცემული ტექნიკური ხარვეზების გამოსწორებაზე. გადაწყვეტილებაში შევიდოდა კორექტირება და მიეთითებოდა რეკომენდაციების გამოსასწორებლად დროის განსაზღვრასთან დაკავშირებული სამართლებრივი საფუძვლებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ“ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

2023 წლის 18 იანვრის №47821 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზების გასწორების საკითხი.

მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შესაბამისად, გასწორდეს „შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ“ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 იანვრის №47821 გადაწყვეტილება დაშვებული ტექნიკური ხარვეზები:

1. 2023 წლის 18 იანვრის №47821 გადაწყვეტილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით დაწყებული არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებაზე დამატებითი ვადის განსაზღვრის შესახებ“;
2. 2023 წლის 18 იანვრის №47821 გადაწყვეტილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:“უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 28 დეკემბრის სხდომაზე დაინტერესებული მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 88-ე მუხლის 26-ე პუნქტის შესაბამისად,“;
3. 2023 წლის 18 იანვრის №47821 გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „1. შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის (ს/კ: 204876991) ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებას განესაზღვროს დამატებითი ვადა და 6 თვის თავზე განხორციელდეს მონიტორინგი დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების მიზნით. “

2. სსიპ **- თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობებისშესრულების არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
• არა
საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
• არა

ექსპერტმა, დავით სიხარულიძემ განაცხადა, რომ ვიზიტის მიზანი იყო დაწესებულებაში ახალი ფართის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. დაწესებულებამ 2018 წელს წარმატებით გაიარა ავტორიზაციის პროცესი, რაც მოიცავდა დაწესებულების კუთვნილი სასწავლო და დამხმარე ფართების შემოწმება. შემოწმების მიზეზი გახლდათ 2022 წელს არსებულ უძრავ ქონებაზე დაწესებულებისადმი სარგებლობის უფლების გაუქმება და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსათვის აღნიშნული ფართის სარგებლობაში გადაცემა. მისამართზე განთავსებული იყო რესტავრაციის მიმართულების სასწავლო აუდიტორიები, კვლევითი-დიაგნოსტიკური ლაბორატორიები და სარესტავრაციო სახელოსნოები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა შეფასება განახორციელა ავტორიზაციის სტანდარტების 7.1 და 7.4 კომპონენტების შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იქნა 4 რეკომენდაცია. პირველი რეკომენდაცია უკავშირდებოდა სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას; მეორე რეკომენდაცია უკავშირდებოდა ბიბლიოთეკის მდგომარეობის გაუმჯობესებას, ლერძოდ, დამატებითი კომპიუტერების შესყიდვას და ფართის გაზრდას. მესამე რეკომენდაცია უკავშირდებოდა სარეკრეაციო სივრცის გაუმჯობესებას, ხოლო მეოთხე რეკომენდაცია დაკავშირებული იყო სამედიცინო კაბინეტის შესაბამისი სტანდარტების მიხედვით მოწყობასთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ღაღანიძემ განაცხადა, რომ დაწესებულების ერთ-ერთი ფილიალი რომელიც მდებარეობდა თაბუკაშვილის ქუჩაზე, განთავსებული იყო რესტავრაციის ისტორიის და ხელოვნების თეორიის ფაკულტეტი. ფაკულტეტი განთავსებული იყო ძეგლთა დაცვის ყოფილ შენობაში. 2022 წლამდე ნახევარი შენობა ეკუთვნოდა სააგენტოს, ხოლო მეორე ნახევარი 2006 წელს გადაეცა დაწესებულებას. 2022 წლის ზაფხულში დაწესებულებისადმი კუთვნილი შენობის ნაწილი დაუბრუნდა სააგენტოს. მათ მიერ შემუშავებული იქნა სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვით ეტაპობრივად ფაკულტეტი გადავიდა გაბაშვილის ქ.№10 - ში. აღნიშნულ მისამართზე გადატანილი იქნა ლაბორატორიები და სახელოსნოები, სასწავლო წლის დაწყება არ დაგვიანდა და სტუდენტებმა სწავლა განაგრძეს ახალ მისამართზე. რაც შეეხებოდა ექსპერტების მიერ გამოთქმულ რეკომენდაციებს, დაწესებულება იზიარებდა მათ, პრაქტიკულად უკვე შესყიდული იყო სამედიცინო კაბინეტის უკეთ მოსაწყობად აუცილებელი ინვენტარი. ასევე აღინიშნა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად ცენტრში წარმოადგინა სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილია, რომ მესამე და მეოთხე რეკომენდაცია შესრულდებოდა მესამე კვარტალში, ხოლო რეკომენდაცია რომელიც ეხებოდა საბიბლიოთეკო ფართის გაზრდას, მისი შესრულება იგეგმებოდა 2024 წლის პირველ კვარტალში, მას შემდეგ რაც დასრულდებოდა ცენტრალური კორპუსის რეაბილიტაციის სამუშაოები და მოხდებოდა ფართების გადანაწილება.

სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 12:13 საათზე.

სხდომა განახლდა 12:14 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

გადაწყვეტილება:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების, საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" 103-ე მუხლის პირველი პუნქტის; 88-ე მუხლის 25-ე პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

3. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მიმართ წარმოდგენილი განაცხადის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

ცენტრის წარმომადგენელმა, ანი ბილანიშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულების ორმა დოქტორანტმა განცხადებით მიმართა ცენტრს, რომლის თანახმად მათ შეუჩერდათ სტუდენტის სტატუსი „კულტურის კვლევების" სადოქტორო პროგრამაზე. განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ სტატუსის აღდგენასთან დაკავშირებულ კომუნიკაციაში დაწესებულებასთან მათ შეექმნათ სირთულეები. სტატუსი შეჩერების მიზეზს წარმოადგენდა პროგრამის აკრედიტაციის სტატუსის წყვეტა. 2018 წელს პროგრამას არ მიენიჭა აკრედიტაცია, თუმცა 2021 წელს რეაკრედიტაციის პროცესში პროგრამას ხელახლა მიენიჭა აკრედიტაცია. სტატუსშეჩერებული სტუდენტების სტატუსის აღდგენას დასჭირდა გარკვეული ლოგიკური დრო, რაც დასტურდებოდა დაწესებულებასა და ცენტრს შორის გამართული კომუნიკაციით. მოგვიანებით თავად განმცხადებლებიც ადასტურებდნენ, რომ გარკვეული პროცედურების გავლის შემდგომ მათ აღიდგინეს სტუდენტის სტატუსი და წარმოადგინეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მოცემული დროისათვის პრობლემა გადაჭრილი იყო, ცენტრის მიერ განხორციელებული მოკვლევის ფარგლებში არ დასტურდებოდა ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა. შესაბამისად საბჭოს უნდა გადაეწყვიტა შეწყდებოდა წარმოება თუ განისაზღვრებოდა მონიტორინგი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრი, ნიკა თიკანაშვილი დაინტერესდა ღა ეტაპზე იყვნენ აღნიშნული დოქტორანტები მას შემდგომ რაც გადაჭრილი იყო მათი სტუდენტის სტატუსის საკითხი.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ღაღანიძემ განაცხადა, რომ ერთი დოქტორანტი გახლდათ მეშვიდე სემესტრში, ხოლო მეორე დოქტორანტი მეოთხე სემესტრში.

სხდომაზე გამოცხადდა შესევენება 12:19 საათზე.
სხდომა განახლდა 12:20 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მიმართ წარმოდგენილ განაცხადზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.
გადაწყვეტილება:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

ცენტრში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შესრულებასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრის, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განცხადებაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" 103-ე მუხლის პირველი პუნქტის; 88-ე მუხლის 25-ე პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიისმიმართ წარმოდგენილ განაცხადზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

4. შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

ექსპერტმა, ჯილდა ჭეიშვილმა განაცხადა, რომ ცენტრის დირექტორის ბრძანებით ავტორიზაციის ექსპერტებს დაევალათ გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში შპს აღმოსავლეთ დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. დოკუმენტაციის შესწავლასთან ერთად 2022 წლის 26 და 27 დეკემბერს ინსტიტუციაში განხორციელდა ვიზიტი, პირველი დღე დაეთო ინტერვიურების პროცესს, ხოლო მეორე დღეს განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დათვალიერება და ვიზიტი კლინიკებში. უნივერსიტეტს ჰქონდა აფილირებული კლინიკები, კერძოდ ალადაშვილის სახელობის კლინიკა და თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი. 27 დეკემბერს ასევე განხორციელდა ინტერვიურება დამსაქმებლებთან და საფინანსო - მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის წარმომადგენელთან. აღსანიშნავი იყო, რომ ინსტიტუციას 2019 წელს გვლილი ჰქონდა ავტორიზაცი, გაცემული რეკომენდაციების უმეტესი ნაწილი შესრულებული იყო, ხოლო მცირე ნაწილი სრულად არ იყო შესრულებული და მოხდა აღნიშნული რეკომენდაციების გადმოტანა მათ მიერ წარმოდგენილ დასკვნაში. ექსპერტმა არნიშნა, რომ მათი შეფასებით 1,2,5 და მე-6 სრულად შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან, ხოლო მე-3, მე-4 და მე-7 სტანდარტები მეტწილად შეესაბამებოდა მოთხოვნებს.
ექსპერტმა, ჯილდა ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ მე-2 სტანდარტში გაცემული იქნა ერთი რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა სტუდენტების და პერსონალის საერთაშორისო მობილობის მხარდამჭერი ღონისძიებების შემუშავებას და განხორციელებას. მე-3 სტანდარტთან მიმართებით გაცემული რეკომენდაცია ეხებოდა დამსაქმებლების უფრო მეტ ჩართულობას პროგრამის შემუშავების პროცესში; სასწავლო წინაპირობების გადახედვას ზოგიერთ სასწავლო კურსებში; სასწავლო გეგმას უნდა მოეცვა წინაპირობები; ინტეგრირებული სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების სისტემის უფრო გამჭვირვალედ გაწერას; პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გადამზადებას ინტეგრირებული კითხვარის მომზადებაში. ბოლო რეკომენდაცია შემუშავებული იქნა სწორედ ინსტიტუციის რეგულაციიდან გამომდინარე. მე-4 სტანდარტში გაცემული იქნა ორი რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა სამედიცინო განათლებაში, იქნებოდა ეს სწავლება თუ შეფასება, განმახორციელებელი პერსონალის გადამზადება ისე, რომ მომხდარიყო სილაბუსში ასახული სწავლებისა და

შეფასების მეთოდების რეალური განხორციელება. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა მოწვეული პერსონალის დატვირთვის მაქსიმალური ზღვრის განსაზღვრას სხვა დაწესებულებებში მათი დატვირთვის გათვალისწინებით. აღნიშნული რეკომენდაცია გაცემული იყო წინა შეფასების დროს. მე-5 სტანდარტთან მიმართებით ასევე გაცემული იყო ორი რეკომენდაცია და ეხებოდა ვებ გვერდზე ინფორმაციის განთავსებას. კერძოდ, განთავსებული უნდა ყოფილიყო ინფორმაცია სტუდენტების მიღების შესახებ მათ შორის ინგლისურ ენაზე და ასევე განთავსებული უნდა ყოფილიყო ინფორმაცია პროგრამის ღირებულებების და აპლიკაციის დეტალების შესახებ. მე-6 სტანდარტში კვლევითი კომპონენტის ნაწილში, რეკომენდირებული იყო განსაზღვრულიყო უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტები. მე-7 სტანდარტის ფარგლებში რეკომენდირებული იყო სამედიცინო სწავლებისათვის სიმულატორების და მანეკენების გამრავალფეროვნება პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლის მიზნით. ასევე რეკომენდირებული იყო, სტანდარტიზირებული პაციენტის პოლიტიკის შემუშავება. რეკომენდაცია გამომდინარეობდა იქედან, რომ ბევრ სილაბუსებში და სასწავლო კურსებში იყო მითითებული სტანდარტიზირებული პაციენტი. ასევე, რეკომენდირებული იყო ობიექტურად სტრუქტურირებული გამოცდის სივრცის მოწყობა და რეკომენდირებული იყო რიგ სასწავლო კურსებში განახლებული ყოფილიყო სავალდებულო სასწავლო ლიტერატურა უახლესი სახელმძღვანელოებით, ვინაიდან ბოლო გამოცემები იყო 2000 წლის.

ექსპერტმა, ჯილდა ჭეიშვილმა განაცხადა, რომ თითოეული რეკომენდაციის განმარტება წარმოდგენილი იყო უშუალოდ დოკუმენტში.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, განაცხადა, რომ დაწესებულებასა და ექსპერტებს შორის შედგა საკმაოდ კარგი თანამშრომლობა, ექსპერტთა ჯგუფი იყო კეთილგანწყობილი და მისი მოსაზრებით შეფასება იყო დადებითი. უნივერსიტეტის მდგომარეობა წარმოდგენილი იყო მაღალ დონეზე და იყო მზაობა განეხორციელებინათ სასწავლო პროცესი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, რეკომენდაციებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა მზაობა საერთაშორისო მობილობის განხორციელების, გადადგმული იყო სერიოზული ნაბიჯები, 2023 წლის თებერვალში და მაისში შედგა ორგანიზაცია სინტანას და არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმიანი შეხვედრები, იგეგმებოდა შეხვედრა ერთობლივი პროგრამების და ერთობლივი საკითხების განვითარებაზე. მომდევნო კვირაში უნივერსიტეტის წარმომადგენლები მიდიოდნენ არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტში საქმიანი ვიზიტით. აღნიშნული გახლდათ უპრეცედენტო შემთხვევა, როდესაც ასეთი მასშტაბის ფონდი და უნივერსიტეტი დაინტერესებულები იყვნენ მათ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით. რაც შეეეხებოდა დამსაქმებლების მეტად ჩართულობას პროგრამის შემუშავების პროცესში, რეალურად დამსაქმებლები იყვნენ ჩართულები, უბრალოდ მოხდა ისე, რომ ინტერვიუს ვერ დაესწრნენ ის პირები რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩართულნი და მათ ნაცვლად დამსწრე პირებმა ვერ მოახერხეს სათანადოდ წარმოეჩინათ აღნიშნული ჩართულობა. გასაგები იყო, რომ უფრო მეტი უნდ ყოფილიყო დამსაქმებლების ჩართულობა, თუმცა როდესაც მათ ეყოლებოდათ მაღალი კურსის სტუდენტები და გაივლიდნენ პრაქტიკას უფრო უკეთესად გამოჩნდებოდა აღნიშნული თანამშრომლობა. სასწავლო კურსის წინაპირობები უკვე ახალი დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებიდან გამომდინარე და შესაბამისად უკვე დაზუტებული იყო, განხილული და დამტკიცებული იყო აკადემიური საბჭოს მიერ. რაც შეეხებოდა კურიკულუმის წინაპირობებს შეცვლილი იყო, დეტალურად იყო გაწერილი შეფსების სისტემა, უკვე მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი და ხორციელდებოდა შეტნილი ცვლილებების გამოცდა. რაც შეეხებოდა პერსონალის გადამზადებას ინტეგრირებული კითხვარების მომზადებაში, აღნიშნული გახლდათ მნიშვნელოვანი საკითხი, უნივერსიტეტი ჩართული იყო ერთობლივ ეროვნულ პროექტში სადაც მუშაობა მიმდინარეობდა სწორედ აღნიშნული მიმართულებით, იღებდნენ მონაწილეობას და რეკომენდაცია ამის შესახებ აუცილებლად შესრულდებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა მეოთხე სტანდართან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციებზე აღნიშნა, რომ მათ უკვე შემუშავებული ჰქონდათ პერსონალის დატვირთვის განსაზღვრის მეთოდოლოგია. რაც შეეხებოდა ტრენინგებს, ბოლო ერთი თვის განმავლობაში თითქმის ყოველკვირეულად ატარებდნენ ტრენინგებს, მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ტრენინგებში ჩართულები იყვნენ არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლები. ასევე მათ სამოქმედო გეგმაში დეტალურად იყო გაწერილი ტრენინგებისნშესახებ და გამოყოფილი იყო ბიუჯეტი. რაც შეეხებოდა ვებ გვერდს, ერთი კვირის წინ ამოქმედდა ახალი ვერსია სადაც მიმდინარეობდა სრული ინფორმაციის განთავსება. რაც შეეხებოდ კვლევით პრიორიტეტებს, მათი უნივერსიტეტი გახლდათ სასწავლო უნივერსიტეტი, მაგრამ მიუხედავად ამისა მათ ჰქონდათ კვლევითი პრიორიტეტები, მათ ჰქონდათ კვლევის განვითარების სტრატეგია, რომელსაც კურირებას უწევდა მრჩეველთა საბჭო და აკადემიური საბჭო. დაწესებულებას ჰქონდა აფილირებული კლინიკები, რომელიც უშუალოდ მათ ეკუთვნოდა და მათი კვლევითი პრიორიტეტები იქნებოდა აღნიშნული მიმართულებით. შემუშავებული იყო უკვე რამოდენიმე პროექტი და იმედი ჰქონდათ რომ მოიგებდნენ გრანტს. რაც შეეხებოდა სიმულატორებს და ობიექტურად სტრუქტურირებულ საგამოცდო ცენტრს, ახალი დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებიდან გამომდინარე მოხდებოდა მათი გაუმჯობესება. ის რაც ნახა ექსპერტთა ჯგუფმა გაკეთებული იყო ძველი დარგობტივი მახასიათებლის მოთხოვნების შესაბამისად. რაც შეეხებოდა სტანდარტიზებული პაციენტის პოლიტიკის შემუშავებას, მათ უკვე ჰქონდათ აღნიშნული შესრულებული. რაც შეეხებოდა ლიტერატურას, აღნიშნული გახლდათ მუდმივად განახლებადი პროცესი და ლექტორების მოთხოვნის შესაბამისად აუცილებლად განხორციელდებოდა ახალი სახელმძღვანელოების შეძენა.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ აღნიშნა, რომ სახეზე იყო უნივერსიტეტის პროგრესი, რაც შეეხებოდა ახალ დარგობრივ სტანდარტებს, რომელიც ძალაში იყო შესული წინა წლის ბოლოს, შესასრულებლად გაწერილი იყო ვადები და საბჭოს მხრიდან არ იქნებოდა მართებული ინსტიტუციისათვის მიეცათ დამატებითი შეკითხვები მის შესრულებაზე. თუ პროგრამა გახლდათ ახალი, გასათვალისწინებელი იყო რეალობა. რაც შეეხებოდა ტრენინგებს, თუ ტრენინგები ჩატარებული იყო შეფასებამდე როგორც აკადემიური ასევე მოწვეული პერსონალისათვის დაწესებულებას შეეეძლო წარმოედგინა სერთიფიკატები აღნიშნული იქნებოდა გათვალისწინებული ვინაიდან ინსტიტუცია იყო ახალი. რაც შეეხებოდა სიმულირებულ და სტანდარტიზირებულ პაციენტს, კარგი იქნებოდა თუ დაწესებულება ორივეს გაითვალისწინებდა იმიტომ, რომ მომავალში სავარაუდოდ მოხდებოდა ორივე ტიპის პაციენტის გამოყენება.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა განაცხადა, რომ გასაგები იყო, რომ დაწყებული იყო რეკომენდაციების შესრულება, თუმცა მას აინტერესებდა დაწესებულების მხრიდან რა ვარაუდი არსებობდა გონივრული ვადის იმისათვის რომ შესრულებული ყოფილიყო რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი. მას ასევე აინტერესებდა უნივერსიტეტში არსებულ ორ პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა და სტატისტიკა.

საბჭოს წევრმა, გაგა გვენეტაძემ მიმართა ექსპერტებს უფრო ვრცლად ესაუბრათ მეოთხე სტანდარტში გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გადამზადებას სამედიცინო განათლების სწავლა სწავლების და შეფასების მეთოდოლოგიაში. მას აინტერესებდა რა იყო იმის წინაპირობა, რომ რეკომენდაცია გაცემულიყო აღნიშნული ფორმით.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა განაცხადა, რომ მეექვსე სტანდარტთან დაკავშირებით ის ეთანხმებოდა, რომ დაწესებულება იყო სასწავლო უნივერსიტეტი, თუმცა გარკვეულწილად სასწავლო უნივერსიტეტსაც მოეთხოვებოდა კვლევითი ინფრასტრუქტურის შექმნა. მას აინტერესებდა როგორ იყო განსაზღვრული კვლევითი ბიუჯეტი და რა კვლევითი ქტივობები ჰქონდა უკვე განხორციელებული და სამომავლოდ დაგეგმილი დაწესებულებას. მას ასევე აინტერესებდა კვლევის მხარდაჭერის მექანიზმები პროფესორებისათვის.

ექსპერტმა, ჯილდა ჭეიშვლმა რეკომენდაციაზე, რომელიც ეხებოდა დატვირთვას განაცხადა, რომ მოცემული რეკომენდაცია გცემული იყო 2019 წელს საბჭოს მიერ, შესაბამისად რადგან არ იყო მოცემული რეკომენდაცია გათვალისწინებული მოხდა მისი გადმოტანა და გათვალისწინება დასკვნაში ახალი შეფასების დროს. რაც შეეხებოდა გადამზადებას, ინსტიტუციას ჩატარებული ჰქონდა რამოდენიმე გადამზადება, რაც დაადასტურა პერსონალმა. რეკომენდაციაში რეალურად საუბარი იყო იმაზე, რომ სილაბუსში მაგალითად გაწერილი იყო მინი კლინიკური გამოცდა, ქეისზე დაფუძნებული განხილვა და ა.შ. გარკვეული სპეციფიური მეთოდები, რაც იყო რეკომენდირებული და არა სავალდებულო, მაგრამ რადგან ეს მეთოდები იყო ჩაწერილი ექსპერტებს გაუჩნდათ კითხვა რამდენად იყო პროგრამის განმახორციელებელი მზად, შესაბამისად აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა არსებული რეკომენდაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა კვლევით კომპონენტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტში არსებობდა კვლევითი ერთეული, განსაზღვრული იყო ბიუჯეტი, 2023-2024 წლებში იგეგმებოდა 66000 ლარის გამოყოფა და წლების მიხედვით ბიუჯეტი იქნებოდა მზარდი. დაწესებულებაში არსებობდა კვლევითი სტრუქტურული ერთეულის დებულება, რამოდენიმე გრანტზე წარდგენილი იყო პროექტები, იგეგმებოდაშიდა გრანტების გამოცხადება. მას შემდეგ რაცდაიწყებოდა თანამშრომლობა არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტთან მოხდებოდა ბიუჯეტის გადახედვა გაზრდის თვალსაზრისით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, რეკომენდაციების შესრულების ვადასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ რეკომენდაციები რომელიც იყო გაცემული და ის რეკომენდაციები, რომლებიც ჩამოყალიბებული იქნა ახალი რეკომენდაციების სახით, მანამ სანამ დამტკიცდებოდა ახალი დარგობრივი სტანდარტი გახლდათ ექსპერტების სურვილი, თუმცა სავალდებულო რომელი კომპონენტებიც იყო მხოლოდ ის მოეთხოვებოდა ინსტიტუციას რეკომენდაციის სახით. ექსპერტების დანიშნულება და ფუნქცია გახლდათ ხარისხის გაუმჯობესება. ამიტომ ვინაიდან გარდამავალ პერიოდში მოუწია უნივერსიტეტს ავტორიზაციის და აკრედიტაციის გავლა, როდესაც მიმდინარეობდა მუშაობა ახალ დარგობრივ მახასიათებელზე. ასევე მონიტორინგის ვიზიტიც დაემთხვა აღნიშნულ პერიოდს. შესაბამისად, რეკომენდაციების შესრულების ვადა მითითებული იყო დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტში. რაც შეეხებოდა კვლევას, ჩანაწერი იმის თაობაზე, რომ სასწავლო უნივერსიტეტს უნდა ჰქონოდა კვლევითი ინფრასტრუქტურა არ არსებობდა. ის კომპონენტი რაც ითვალისწინებდა სტუდენტებისათვის ბაზისური კვლევითი უნარ-ჩვევების გამომუშავებას და პერსონალის განვითარებას, ამისათვის გამოყოფილი იყო ბიუჯეტი. უნივერსიტეტს ჰქონდა აფილირებული კლინიკები იძლეოდა კვლევების ჩატარების ძალიან კარგ საშუალებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად მათ ჰქონდათ ძალიან საინტერესო პროექტი, საგანმანათლებლო ორგანიზაცია სინტანა აღნიშნულ უნივერსიტეტთან ერთად ახდენდა საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარებას. ასეთი ორი დიდი ინსტიტუციის მხარდაჭერა ნიშნავდა ძალიან ბევრს. პროექტი ხორციელდებოდა აზერბაიჯანის, მათი სტრატეგიული პარტნიორის ერთ-ერთ წამყვან უნივერსიტეტთან, ხაზარის უნივერსიტეტთან ერთად. აღნიშნულ პროექტში მათი უნივერსიტეტი წარმოდგენილი იქნებოდა აზერბაიჯანის უნივერსიტეტთან ერთად. ამერიკული მხარე რეგიონულ თანამშრომლობას ანიჭებდა დიდ მნიშვნელობას. მათი უნივერსიტეტის ასეთი ჩართულობა ძალიან კარგი იქნებოდა ქვეყნისათვის და საგანმანათლებლო სივრცისათვის. მათ უნივერიტეტში უკვე დაწყებული იყო სწავლა, ყავდათ რამოდენიმე ჯგუფი. უკუკავშირის თანახმად სტუდენტები იყვნენ კმაყოფილები სასწავლო ბაზებით.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა განაცხადა, რომ მას შემდეგ რაც საქართველო გახდა სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის წევრი, სავალდებულო იყო დაწესებულებას შემუშავებული ჰქონოდა სამოქმედო გეგმა. მას აინტერესებდა აღნიშნული მიმართულებით თუ იმუშავა დაწესებულებამ და ასევე ითხოვა დაეზუსტებინათ სტუდენტების რაოდენობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა სტრატეგიული 7 წლიანი გეგმა და 3 წლიანი სამოქმედო გეგმა. აღნიშნული გეგმები უკვე გადაგზავნილი იყო არიზონას უნივერსიტეტში, 1 ივნისს ჩამოდიოდა მათი წარმომადგენელი და იწყებოდა მუშაობა ერთობლივ სტრატეგიულ გეგმაზე. უნივერსიტეტს ჰყავდა ორი ჯგუფი, ერთი ჯგუფი პირველკურსელების, 12 სტუდენტი. მობილობით გადმოსული იყო დაახლოებით 30 სტუდენტი. ჯამში უნივერსიტეტს ჰყავდა 47 სტუდენტი.
13:00 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 13:20 საათზე

საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტს დაფიქსირებული ხარვეზის გამოსასწორებლად 60 დღის ვადის განსაზღვრის საკითხი.
მომხრე -10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლი პირველი, 21-ე პუნქტების შესაბამისად, შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტს დაფიქსირებული ხარვეზის გამოსასწორებლად განესაზღვროს 60 დღის ვადა.

საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები:

- უზრუნველყავით, რომ სტრუქტურული ერთეულები თავიანთ ფუნქციებს ახორციელებდნენ ეფექტიანად და კოორდინირებულად.
- უზრუნველყავით, რომ ხელმძღვანელობა/მმართველი ორგანო მართავდეს დაწესებულების საქმიანობის ეფექტიანად.
- შეიმუშავეთ მკაფიო და ეფექტური პოლიტიკა სტუდენტთა და პერსონალის საერთაშორისო მობილობის მხარდასაჭერად.
- უზრუნველყავით, რომ ყველა სტრუქტურული ერთეულის რეგულაციები იყოს შემუშავებული. უზრუნველყავით დანიშვნის პროცედურის გამჭვირვალობა.
- უზრუნველყავით, რომ აკადემიური საბჭოს საკონსულტაციო ფუნქციები ეფექტურად შესრულდეს. დარწმუნდით, რომ სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები საკმარისადაა მოწესრიგებული.
- შეიმუშავეთ ყოვლისმომცველი შეფასების მოდელი.
- დაუყოვნებლივ მოახდინეთ შეფასების შემდეგ სფეროებში მუშაობის ინიცირება: მართებული კითხვების ბანკის შექმნა; პედაგოგთა მომზადება კითხვების ჩამოყალიბებაში და ობიექტური, სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) პლატფორმის აგებაში; ობიექტური სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის წრებრუნვის შემუშავება და პილოტირება ლოგისტიკისა და პრაქტიკის შესასწავლად; ობიექტური სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის დამკვირველების ტრენინგი; ზეპირი გამოცდების, პორტფოლიოსა და აღრიცხვის ჟურნალების შეფასებისათვის კრიტერიუმების განსაზღვრა; შეფასების ყველა გამოსაყენებელი მეთოდისათვის შესაბამისი სტანდარტების შექმნის სისტემის შემუშავება.
- გადახედეთ საგამოცდო ბილეთების შედგენის პროცესს იმგვარად, რომ მას ზედამხედველობდეს უფროსი აკადემიური პერსონალი.
- შემოიღეთ უფროსი აკადემიური თანამდებობა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს შეფასების გრაფიკის დიზაინს, შემუშავებას, მიწოდებასა და ხარისხის უზრუნველყოფას.
- უზრუნველყავით, რომ აკადემიური, მოწვეული და მმართველი ორგანოები სრულიად იცნობდნენ შეფასების სისტემას.

- განსაზღვრეთ მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა, რათა თავიდან აიცილოთ გადაფარვა.
- შეიმუშავეთ სტუდენტების, კერძოდ უცხოელი სტუდენტების მიღების მკაფიო რეგულაციები.
- შეიმუშავეთ რეგულაციები ენობრივი კომპეტენციის შიდა საუნივერსიტეტო გამოცდებისათვის.
- შეიმუშავეთ რეგულაციები კონკრეტული სახის გამოცდებისათვის (მაგალითად OSCE-სთავის) დაადგინეთ სტუდენტური ბიუჯეტის მაკონტროლებელი პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული.
- დაადგინეთ კვლევების ბიუჯეტის გამოყენების გეგმა.
- უზრუნველყავით საკმარისი კვლევითი ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა.
- განსაზღვრეთ უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტები.
- შეიმუშავეთ აკადემიური პერსონალის ტრენინგის პროგრამა მათი სამეცნიერო-კვლევითი უნარების გასაზრდელად.
- უზრუნველყავით ადეკვატური საგანმანათლებლო სივრცეები, განსაკუთრებით ძირითადი საგნებისთვის.
- უზრუნველყავით საგანმანათლებლო სივრცეების აღჭურვილობის გაუმჯობესება.
- უზრუნველყავით სტუდენტებისათვის რეკრეაციული (სოციალური) სივრცეების ხელმისაწვდომობა დაწესებულებაში.
- უზრუნველყავით კლინიკური უნარების სწავლებისა და პროცედურების ხელშემწყობი აღჭურვილობის (როგორებიცაა მანეკენები) ადეკვატური რაოდენობა დაგეგმილი რაოდენობის სტუდენტებისათვის
- რეკომენდირებულია სტუდენტთა და პერსონალთა საერთაშორისო მობილობის მხარდასაჭერი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება.
- რეკომენდირებულია დამსაქმებლების მეტად ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში;
- რეკომენდირებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების წინაპირობები;
- რეკმენდირებულია კურისკულუმი (სასწავლო გეგმა) მოიცავდეს წინაპირობებს;
- რეკომენდირებულია ინტეგრირებული სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების სისტემის უფრო გამჭირვალედ გაწერა;
- რეკომენდირებულია პროგრამის განმახორციელებელი პეროსნალის გადამზადება ინტეგრირებული კითხვარების მომზადებაში.
- რეკომენდირებულია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გადამზადება სამედიცინო განათლების სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიაში, ისე რომ შესაძლებელი იყოს სილაბუსით განსაზღვრული მეთოდების გამოყენება სწავლებისა და შეფასების პროცესში;
- რეკომენდირებულია ვებ-გვერდზე განთავსებული იქნას ინფორმაცია სტუდენტების მიღების კრიტერიუმების შესახებ, მათ შორის ინგლისურ ენაზე;
- ვებ-გვერდზე განთავსებული იქნას ინფორმაცია პროგრამის ღირებულების, ასევე აპლიკაციის დეტალების შესახებ.
- რეკომენდირებულია განისაზღვროს უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტები, შეიქმნას კვლევითი გეგმები და გამოიყოს შესაბამისი ბიუჯეტი აღნიშნული კვლევითი პროექტების განსახორციელებლად. გაიმართოს კვლევითი პროექტების განხორციელების შეფასების სისტემა;
- რეკომენდირებულია სამედიცინო სწავლებისათვის სიმულატორების/მანეკენების გამრავალფეროვნება;
- რეკომენდირებულია სტანდარტიზირებული პაციენტის პოლიტიკის შემუშავება;
- რეკომენდირებულია ობიექტურად სტრუქტურირებული გამოცდის სივრცის მოწყობასთან;

- რეკომენდირებულია რიგ სასწავლო კურსებში განახლდეს სავალდებულო სასწავლო ლიტერატურა.

5. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტასთან დაკავშირებით საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
• არა
საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
• არა

ცენტრის წარმომადგენელმა, სოფიკო ქურასბედიანმა განაცხადა, რომ 2023 წლის თებერვალში ცენტრში შემოსული იყო სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წერილი, რომელშიც აღწერილი იყო, რომ მათ მიერ განხორციელებული იქნა მონიტორინგის ფარგლებში სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესწავლა. მონიტორინგის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ რამოდენიმე სტუდენტს, 2012 წელს შიდა მობილობის ფარგლებში აღდგენილი ჰქონდათ სტუდენტის სტატუსი, რაც შეუთავსებელი იყო კანონმდებლობასთან. აღნიშნული წერილის საფუძველზე, ცენტრმა მიმართა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს განემარტა გარემოება და წარმოედგინა ინფორმაცია რა ღონისძიებები განხორციელდა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, მოიყვანილი იყო თუ არა კანონმდებლობასთან შესაბამისობაში ის საკითხები რაც დაფიქსირებული იყო განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წერილში. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ცენტრში წარმოადგინა წერილი, რომლის თანახმად მან ბათილად სცნო ის გადაწყვეტილებები, რომლითაც კონკრეტულ სტუდენტებს შეუწყვიტა სტუდენტის სტატუსი. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე ავტომატურად არ გახდა კანონმდებლობასთან შეუთავსებელი ის გადაწყვეტილებები, რომლითაც აღნიშნულ სტუდენტებს აღუდგინა სტატუსი შიდა მობილობის საფუძველზე. შესაბამისად, დაწესებულებას არ ჰქონდა უფლება სტატუსშეწყვეტილი სტუდენტისათვის ესარგებლებინა შიდა მობილობის უფლებით და აღედგინა სტატუსი. სტუდენტებს რომელთაც შეუწყდათ სტატუსი უფლება ჰქონდათ გადასულიყვნენ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.
წარმოდგენილი წერილის საფუძველზე ცენტრი მიიჩნევს, რომ მონიტორინგის მიზნებიდან გამომდინარე არ იყო აუცილებელი დაწესებულებაში განხორციელებულიყო მონიტორინგი, შესაბამისად ცენტრი საბჭოს წინაშე აყენებდა შუამდგომლობას ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე.
13:24 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება
სხდომა განახლდა 13:26 საათზე

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ წარმოდგენილ კორესპონდენციაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
ცენტრში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შესრულებასთან დაკავშირებით წარდგენილი კორესპოდენციის, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განცხადებაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" 103-ე მუხლის პირველი პუნქტის; 88-ე მუხლის 25-ე პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ წარმოდგენილ განაცხადზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

სხდომა დასრულდა 13:27 საათზე

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
შენგელია კახა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
გვენეტაძე გაგა